სახალხო გაზეთი

№ 1021 შაბათი, 19 ოქტომბერი 1913 წ. № 1021

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

†

ანასტასია მიხეილის ასული ფითოევისა შვილებით იუწყებიან, რომ ძვირფასის ქმრისა და მამის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს. წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე, წესის აგება შუადღის 12 საათზე მოლნინის ეკლესიაში. დაკრძალვა—ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

†

გიორგი კონსტანტინეს ძე ფითოევი შვილებითურთ იუწყებიან, რომ ძვირფასი მამისა და პაპის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს. წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე, წესის აგება შუადღის 12 საათზე, დაკრძალვა—ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

†

გიორგი მიხეილის ძე არარატსკი გულითადის მწუხარებით იუწყება ძვირფასი სიძის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

გარდაცვალებას. წირვა და წესის აგება მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, მოლნინის ეკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

†

ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების „ი. ე. ფითოევი და ამხ.“ გამგეობა იუწყება, რომ გამგეობის განსვენებული თავმჯდომარის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს. წირვა დაიწყება დილის 11 საათზე, წესის აგება—12 საათზე, მოლნინის ეკლესიაში. დაკრძალვა—ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

†

ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება „ი. ე. ფითოევი და ამხ.“ გამგეობა იუწყება, რომ შაბათს, 19 ოქტომბერს, გამგეობის განსვენებულ თავმჯდომარის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვის დღეს, გამგეობის კანტორა **დახურული იქნება.**

†

სავაჭრო სახლი „გიორგი ფითოევი“ იუწყება, რომ შაბათს, 19 ოქტომბერს

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვის დღეს, ტფილისის განყოფილების კანტორა და საწყობი **დახურული იქნება.**

კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 11½ საათზე ქვაშვეთის ტაძარში გარდაცვალების მეორმოცე დღეს გადახდილი იქნება პანაშვიდი.

გიგა |მაქსიმე| ჯუღელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის **მეგობრები და ამხანაგები.**

კვირას, 20 ოქტომბერს, **გორის მძინების საკრებულო ტაძარში** გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მღვდლის

სიმონ იოსების ძის **ლაშაურისა,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი **შვილები ალექსანდრე, შუშანა, პელაგია და ელენე.** 726

ვლადიმერ არჩილის ძე ხალარიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ოქტომბერს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მისი დაუვიწყარი მეუღლის

ელენე ქაიხოსროს ასულის **სალარიძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 731

იაგორ იოსების ძე მაისურაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 ოქტომბერს, ს ღამოს 9 საათზე, უდროოდ გარდაიცვალა მისი დაუვიწყარი, ძვირფასი ამხანაგი

ალექსანდრე გრიგოლის ძე **ხოჯაფარუხოვი.**

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან (დვორიანსკაია ქ., 8), კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 9-ნახევარ საათზე, ნორაშენის ეკლესიაში წირვის მოსასმენად, დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. 729

ახალ კლუბთან არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაიწერონ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრესმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ქუთაისის ქალაქის თეატრი

კვირას, 20 ოქტომბერს გაიმართება

პირველი ქართული სიმფონიური

კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილისა

შემდეგის პროგრამით: 1. ,,ქართული მუსიკა და მისი ჰარმონია — კონტრაპუნქტი, წაიკითხავს **კ. ფოცხვერაშვილი.** 2 ა) პირველი რაფსოდია კ. ფოცხვერაშვილისა, ბ) ნომრები მ. ბალანჩივაძის ოპერა ,,თამარ ცბიერი''-დან, გ) ,,თქმულება ამირანზე'' სიმფონიური ესკიზი (სიუიტა) კ. ფოცხვერაშვილისა, დ) ქართული ეროვნული სიმღერები შემუშავებული ხოროსა და ორკესტრისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ე) ქართული მარში და სიმფონიური ნომრები მ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა ,დალიდან''. 3. სხვა და სხვა ნომრები კ. ფოცხვერაშვილის ოპერა ,,კერპთა დამხობიდან'' ა) ქურუმთა და ქურუმ ქალთა საღვთო როკვა, ბ) ფინალი (პექა-ქუხილის სცენა), გ) არია (ლოცვა) ქურუმ ქალისა დ) ,,დიდება არმაზსა'' (ჰიმნი), ე) ქართული ეროვნული სიმღერები კ. ფოცხვერაშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ნ. ა. ვესელოვზოროვისა (სოპრანო) (შეასრულებს ხოროსთან ერთად ქურუმ ქალის არიას), ტფილისის ,,ახალი კლუბის'' სიმებიანი ორკესტრი, ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების ქალ-ვაჟთა გუნდი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება ბ-ნ თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი.** 1536

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 21 ოქტომ., 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ, წრის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მსახიობთ **ქ. ნინო ჩხეიძის ასულის და ბ. ალ. იმედაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება პირველად დრამა

ტაიფუნი

4 მოქ. მ. ლენგიელისა, თარგ. ელ. ანდრონიკაშვილისა.
მონაწილეობენ წრის ყველა სცენის მოყვარე.
დასაწყისი საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი 2 მ.—20 კ.
რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** წრის ადმინისტრაცია.
ფარდ ახდევის შემდეგ თეატ. დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 20 ოქტომბერს, 1913 წ. ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახ. **ი. ივანიძის და ჟივიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

პეპო, კომედ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა. | **არივ-დარია,** ვოდ 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარგველაშვილისა, ჟურულისა, სააკოვისა. ბ-ნნი **ი. ივანიძე, ჟივიძე,** თავდგირიძე, სულთანიშვილი, ჯიბლაძე, სალაყაია, ნინოშვილი, ქვლივიძე, მაისურაძე და სხვანი. **ადგილების ფასი 4—50 კაპ.** ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, მიცკევიჩის ლოტბარობით. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში 5—9 საათამდე. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

1545 მორიგი გამგე **გ. არუშანოვი.**



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე, საკუთარი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 9 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

დღეს დაიწყება გამოჩენილ ფალავანთა ფრანგული, კავკასიური და თავის ფალი ამერიკული **ჭიდაობა.** ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის ,,ვესტნიკ სპორტის'' რედაქციისა ან და მოხდე ა თვით რედაქტორის **ნ. ი. პეტროვ**-ის ხელმძღვანელობით. ჭიდაობაში მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი ფალავნები: **ჩემბერს ციპს** (ამერიკელი ზანგი)—**კოსტა მაისურაძე,** კავკასიელი ფალავანი. **ლუკა კოპილოვი,** —**ჟან საზატიეს,** ევროპის და საფრანგეთის ფალავანი) **ივ. კაინი,** ყველაზე უძლიერესი და ცნობილი ამ დროის ჭიდავე რომელმაც არა ერთხელ აჯობა ჭიდაობაში პოდდუბნის, ვახტუროვს და სხვას. დღეს ჭიდაობს ოთხი წყვილი. ჩემპიონატი დიკი მე-9 განყოფილებაში, 9 ს.-ზე, ჭიდაობა 9 ნახ. საათზე.

728 **დასაწყ. საღამ 8 საათზე.** **დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.**

,,ახალი კლუბის'' მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, დანიშნულია კლუბის წევრთა

საგანგებო საზოგადო კრება,

რომელზედაც განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება შენობის შესაკეთებლად საჭირო მცირე თანხის გადადების შესახებ, 2) არჩევნები წევრებისა და მუდმივი მოსიარულესი და 2) მიმდინარე საქმეები. **დასაწყისი დღისით 12 საათზე.** 1499

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 20 ოქტომბერს 1913 წ., დილის 11 ს. ზე, ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება და 2) მიმდინარე საქმეები. 1545

კომისია ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა

ამით აუწყებს ტფილისის ქართველ ქალებს, რომ ორშაბათს, 21 ოქტომბერს, დანიშნულია დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ., 2) ტფ. ქართ. ქალთა საზოგადოების

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება კომისიის მოქმედების შესახებ, 2) მიღება ახალი წევრებისა და 3) არჩევა საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრებისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. 1542

ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები

ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს დაიწყო.** მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფეიქრო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

ზამთრის სეზონის ახლოვებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

აგენტმა

ივანე გრიგოლის ძემ

ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარქევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორბელოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი
შაბათს, 19 ოქტომბერს,
საოჯახო საღამო.
თეატრის სცენაზე სინემატოგრაფი „ლირა“, 5 განყოფილებად. დაწვრილებით პროგრამაში. თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტ. 25 კ. დასაწყ. საღ. 9 ს. 1499

მოითხოვეთ ყველგან
ყოველკვირეული
ჟურნალი
წლიურად 3 მან: ფასი 5 კაპ.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჭრაბიანცი
დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვახხებური სხივებით ფილტვებისა და გულის გალანდვა.
ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.
9—10 სათ. ხაწულებს უფასოდ.
ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ი. ზ. გძელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალის და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 საათ. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, [illegible] ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ჭარები) ბლენ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, [illegible] ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ივ. გომართელი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ექიმი გ. მ. ლოლობერიძე ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოხიარული ავადმყოფებისათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. [illegible]. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი თოხელიშვილისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. კლდიაშვილი. ყ. დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606“-ით 1462

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი იღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრეევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

სომხური პრესა და ადგილობრივი ენები

ცხადი სიმართლეა, რომ ადგილობრივ ენების ცოდნა ადგილობრივ მცხოვრებთათვის ფრიად საჭიროა. ამგვარი საჭიროება იგრძნო 1906 წ. ტფილისის სომეხთა ნერსესიან სემინარიამ და შემოიღო ქართული ენის სწავლება. თუ შემდეგში რატომ გააუქმეს ქართული ენის გაკვეთილები ზემოხსენებულ სემინარიაში, ეს ჩვენ არ ვიცით. აწ ამ საგანს ეხება სომხური გაზეთი „კავკასი ლრაბერი“ თავის ერთ-ერთ მეთაურ წერილში და, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს: „ჩვენ კავკასიაში ვცხოვრობთ, იმ გვარ ქვეყანაში, სადაც გარს გვახვევიან ქართველები, თათრები და რუსები. მაშასადამე, ჩვენ ჩვენს ყოველდღიურ მიმდინარე ცხოვრებაში ყოველთვის იძულებულნი ვართ ურთიერთობა ვიქონიოთ ჩვენს მეზობლებთან; გარდა ხლებ-მიცემობისა, ჩვენთვის არა ნაკლებ საჭიროა საფუძვლიანად გავეცნოთ ამ ხალხთა შინაგან განცდას, მათ გონივრულ განვითარებას და თუ საჭირო იქნება დავეხმაროთ კიდეც და ვუშველოთ, ანუ დახმარებას მოველოდეთ მათგან, თუ კი ეს ჩვენთვის საჭირო იქნება. ადგილობრივ ხალხთა ერთიმეორის დახმარების უსაჭიროესობა, რომელსაც ჩვენ ვასახელებთ, ლოღიკური შედეგია, აუცილებელი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნის პირობებისა და თუ ერთმანეთის დახმარება პირდაპირი სავალდებულო მოთხოვნილებაა, მაშასადამე, საჭიროა სწავლა ამ ხალხთა ენისა, მისი ცოდნა იმდენად მაინც, რამდენადაც იგი გამოგვადგება ცხოვრებაში.

ჩვენი ხალხის მდაბიო ნაწილი ინერციულად წინ წავიდა ამ გზით და მიდის კიდეც. ავლაბრელი სომეხი ისევე ადვილად ლაპარაკობს ქართულად და თათრულად როგორც თვით ჩვენივე მეზობლები; იგი ამ ენებით მღერის და განიცდის. ხოლო ჩვენმა ინტელიგენციამ, ჩვენი სკოლების პროგრამის უვარგისობის გამო, უმეტეს შემთხვევაში არ იცის ამ ენებიდან არც ერთი.

... მაშასადამე, ჩვენს ყურადღებას ვაჩერებთ ქართულსა და თათრულს ენებზე და ხაზ-გასმით ვუთითებთ მათს ფრიად სარგებლობას და უსაჭიროესობას.

... ქართულისა და თათრულის სწავლა სავალდებულო უნდა იყოს არა მარტო ნერსესიან სემინარიაში, არამედ კავკასიის ყველა საეპარქიო სასწავლებელში, აგრეთვე ეჩმიაძინის აკადემიაშიც.

და თუ ჩვენ ვუთითებთ ჩვენის სკოლებისათვის და ხალხისათვის ამ უსაჭიროესობას, ამავე დროს დარწმუნებულნი ვართ, რომ როგორც ქართველთ, აგრეთვე თათრებს შორის მოიპოვებიან ისეთი პირები და ჯგუფები, რომელნიც იზიარებენ ჩვენს რწმენას და არ დასტოვებენ შემთხვევას, რათა განამტკიცონ ერთა სოლიდარობა, ხალხთა ურთიერთის დახმარება, მაშასადამე, ერთმანეთის ენის შესწავლის უსაჭიროესობაც.

საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. მართალია ეს საგანი მკაფიო და ცხადია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა გახდეს ბჭობის მორიგ საგნად და მალე სისრულეში იქნას მოყვანილი. ამას გვიკარნახებს ჩვენი გარემოება; ამასვე გვიბრძანებენ ჩვენ, თვით კავკასიის ცხოვრების შინაგანი პირობები“.

ამ საკითხის შესახებ თითქმის ასეთსავე აზრს გამოსთქვამს გაზ. „ჰორიზონი“ თავის № 232-ში და თათრულისა და ქართული ენების სავალდებულო შესწავლას მოითხოვს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილის ჩამოსვლა.** 17 ოქტომბერს მთელმა ქალაქმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო: დილითვე სახლები ყვავილებითა და ბაირაღებით მორთეს და ხალხი ქუჩებზე ჩვეულებრივზე მეტი ირეოდა. ნაშუადღევის 4 საათისთვის ქუჩებზე აუარებელი ხალხი იყო. ამ დროს რკინის გზის სადგურზე მოგროვილნი იყვნენ წარმომადგენელნი საერო და სამხედრო ყველა უწყებისა. სრულ 4 საათსა და 58 წ. მეფის მოადგილე მეუღლით საჩქარო მატარებლით რკინის გზის სადგურზე მოვიდა. შეგროვილი ხალხი აღტაცებით მიეგება მეფის მოადგილეს. ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა კ. ნ. აბხაზმა მეფის მოადგილეს შემდეგის სიტყვით მიმართა: „თქვენო ბრწყინვალებავ! განსაკუთრებულის სიხარულით ვეგებებით კავკასიაში თქვენს კეთილად დაბრუნებას. ჩვენ, თავ-აზნაურობის წარმომადგენელნი, უსაზღვროდ მადლიერნი ვართ იმ სამართლიან აზრისთვის, რომელიც თქვენ გამოსთქვით ჩვენი ხალხის შესახებ უქვეშევრდომილეს ანგარიშში. ნება მომეცით, გადმოგცეთ გულწრფელი სურვილი მთელის ქართველის თავად-აზნაურობისა,—შეძლება მოგცეთ უფალმა, რათა დაასრულოთ თქვენი ისტორიული განზრახვანი ქვეყნის სასარგებლოდ და განაგრძელოს ღმერთმა თქვენ მიერ კეთილშობილური მმართველობა სანამესტნიკოსი მრავალ წელსა“. ვაგზლიდან მეფის მოადგილე ღია ეტლით სასახლისკენ წამოვიდა. გზა-გზა სამხედრო მუსიკის დაკვრით უხვდებოდნენ. გოლოვინის პროსპექტზე ორთავე მხარეს დამწკრივებულნი იყვნენ ქალაქის სასწავლებლების მოსწავლენი, რომელნიც მეფის მოადგილეს „ვაშა“-ს ძახილით და მუსიკის დაკვრით ეგებებოდნენ. სასახლის წინ მოადგილე ეტლიდან გადმოვიდა. იქ დამწკრივებულნი მას სალმით მიეგებნენ. მეფის მოადგილეს აქ სიტყვებით მიმართეს: ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელმა ლ. ი. გულიევმა, ტფ. მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ გ-ნმა ტურბოვიჩმა და სხვებმა. გრაფინიას მრავალი თაიგული მიართვეს. მეფის მოადგილემ შეგროვილ ხალხს შემდეგის სიტყვით მიმართა: „გულითად მადლობას გიხდით იმ დახვედრისთვის, რომელიც მე გულის სიღრმემდის ჩამწვდა. 57 წლის სამსახურის განმავლობაში მე მრავალი საჩუქარი მივიღე, მაგრამ ის, რაც დღეს ვნახე, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ყველაის სურვილი და ყურადღება, რომელიც წილად მარგუნეთ ავადმყოფობის დროს, ჩემთვის დიდს ნუგეშს შეადგენდა და მეც მადლობას გიხდით კეთილ გრძნობისთვის. მადლობას გიხდით ყველას დახვედრისა და მოლოცვისათვის და გისურვებთ თქვენ კეთილ წარმატებას“. მეფის მოადგილე მცირე ხნის შემდეგ სასახლეში გაემართა. მთელს საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო და ქუჩებზე, განსაკუთრებით გოლოვინის პროსპექტზე, დიდძალი ხალხი არ გამოილეულა.

◆ **მეფის მოადგილის ჩამოსვლის გამო** ტფ. სასწავლებლის მოსწავლენი გუშინ სამის დღით სწავლისაგან გაანთავისუფლეს.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** განსახილველად 17 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო—საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება მოხდა. კრებამ შეუძლებლად სცნო ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების ხარჯების მუხლის განხილვა, რადგანაც ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ამ განყოფილების რეორგანიზაციის მოხდენა და დღემდე კი არავითარი მოხსენება არ შეუდგენია ამ საკითხის გამო. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, მოხსენება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასრულებამდე დაამზადოს. კრებამ შეუძლებლად სცნო განხილვა აგრეთვე იმ მუხლებისა, რომელიც დასაფასებელ გადასახადთა სტოლისა და სამიწის-მზომლო განყოფილებას შეეხებოდა და დაადგინა, ამ განყოფილების საქმეების შესწავლა მცირე კომისიას დაავალოს. კომისიაში შედიან: სულხანოვი, ჯაბარი, კეილი და ქანანოვი.

◆ **ვერის პარკი.** 17 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიის კრება მოხდა. კომისიამ საჭიროდ აღიარა. ახლავე შედგენილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი პარკის აუზების გადაკეთებისა, მდ. ვერაზე ხიდის გაკეთებისა და საცურაო ტბის გაწმენდისა და ნიაღვართაგან დაცვისა.

◆ **საქალაქო მიწების მორწყვის** საკითხის გამო ხვალისთვის ქალაქის მოურავი ქალაქის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საგანგებო კომისიის კრებას იწვევს.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ მორიგი (VIII) ნომერი შინაარსი: 1) თავ. რ. ერისთავის შემოქმედება (კრიტიკულ ეტიუდი) —იპ. ვართაგავა. 2) ჰიგიენა. ტყე და მისი ჰაერი—ილ. ალხაზიშვილი. 3) ბავშვების აღზრდა და სწავლება—გერასიმე. 4) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—ს. დადიანი. 5) თავისუფლად აზრის გამოთქმა—გრ. საქარიქედელი. 6) ნიკოლოზ ბარათაშვილი (გაგრძელება ი. ფერაძე. 7) ნ. მარრი (მისი 25 წლის სამეცნიერო ასპარეზზედ მოღვაწეობის გამო) მეგობარი. 8) სიტყვა წინამძღვარიანთ კარის სკოლის 30 წლის იუბილეს გამო—ეპისკოპოსი ლეონიდი, 9) ქართული ენის მოყვარულთა საყურადღებოდ—დ. ჩქოტუა, 10) ჰერბარტ ჰაუპტმანი „მიხეილ კრამერი“ ოთხ მოქმედებიანი დრამა (თარგმანი) —ივ. გომელაური, 11) ძველი კერპი—ლადო გეგეჭკორი, 12) კითხვა—ილ. გოგია, 13) დნეპრის პირას—დ. თურდოსპირელი, 14) ჩემი მხარე, გელა, 15) ელეგია—გ. ლეონიძე, 16) ნიავო, რას მეჩურჩულები—გულგატეხილი, 17) უკანასკნელი ძახილი—ვ. გორგაძე, 18) ვაჟა-ფშაველას—ბაჩანა, 19) ამაოდ ლოდინი—ზ. ვაშაძე, 20) ⁂ ლექსი—ბაჩანა, 21) შინაური მიმოხილვა—კოწოლაური, 22) ახალი ამბები—ი. გ—რი, 23) რუსეთი—საბავშვო წიგნების გამოფენა კიევში—დ. თ—ლი, 24) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—ილ. ალხაზიშვილი, 25) დამატება: ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა: მოხსენებანი ყალამშიის, ატენის და საგურამოს სკოლების შესახებ. ოქმი სენაკის განყოფილების საზოგადო კრებისა. თელავის განყოფილების სკოლის შემოსავალი და გასავალი 1912 წ. სოხუმის გამგეობის მოხსენება 1912 წ. და განცხადებანი.

◆ **საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტის** გარდაცვალების 40 დღის თავის შესრულების გამო გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა და ერევნის ეპისკოპოსმა პიმენმა ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს, განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ **საქართველოს ახალი ეგზარხოსი ალექსი** ტფილისს ჩამოვა 20 ნოემბრისთვის.

◆ **ხილისა და ბოსტნეულის გამოფენა—ბაზარი,** რომელიც 17 ოქტომბერს უნდა დახურულიყო, 24 ოქტომბრამდე კიდევ იქნება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** კვირას, 20 ოქტომბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში მართავს სალიტერატურო დილას საკონცერტო განყოფილებით შემდეგი პროგრამით: 1) მ. წულუკიძე წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე „ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნეში.“ მე-19 საუკუნის დასაწყისი. რომანტიზმი. ილ. ჭავჭავაძის პოეზია. საერთო პესიმიზმი. გრ. და ვახტანგ ორბელიანები. წარსული მათი იდეალი. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ჩანგი. სასოწარკვეთილება მგოსნებისა და საზოგადოების აპატია. გ. ერისთავის ხანა. დანიელ ჭონქაძე. ილია და აკაკის ხანა. რეალიზმი ლიტერატურაში. 80-ანი წლები. 90-ნი წლები. მე-20 საუკუნის მგოსნები. დასასრული. 2) საკონცერტო განყოფილება სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქალთა გუნდი (50 სული) ბ. გოძიაშვილის ლოტბარობით შეასრულებს სიმღერებს ქართულ ენაზე. დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ მერვე უბნის სასანიტარო მზრუნველმა ხმოსანმა **გ. თოიძემ** და სასანიტარო ექიმმა **ნ. ხატისოვმა** დაათვალიერეს ციციშვილების აღმართზე მდებარე ვეებერთელა სახლი მურადოვისა. სახლი საოცარი სიბინძურით სავსე აღმოჩნდა. მაღლა სართულების ფეხისადგილები შეერთებული ყოფილა ქვედა სართულების ფეხისადგილებთან და სავსეა უწმინდურობით, გადადის თავზე და კლდიდან პირდაპირ ციციშვილის აღმართზე ჩამოსწვეთს.

პირველი და მეორე სართულების კედლები იმდენად დანოტიოვებულა რომ ნესტი ჭერამდე აღწევს და გალესილი კედლები კირს ვერ იმაგრებს. ჰაერი სრულიად მოწამლულია. შეადგინეს ოქმი და ღონისძიება მიიღეს მცხოვრებთა გადაყვანის შესახებ, სანამ არ გაკეთდება კანალიზაცია.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს მოხდება, რადგანაც ორშაბათს, 21 ოქტომბერს, უქმეა.

სოფლად.

◆ **დუშეთის მაზრა.** სოფ. საკრამულის მცხოვრებნი, სამაზრო ადმინისტრაციის განკარგულებით, ჰადის გზის გასაკეთებლად გაიწვიეს, მაგრამ მით არც ტეხნიკოსი და არც სხვა ვინმე ზედამხედველი არ ხელმძღვანელობდა. გრგვალის ალების დროს გადმოიქცა კედელი და მიწამ ექვსი მუშა დაიტანა ქვეშ. მათგანი ორი გარდაიცვალა: ბესო მურზაშვილი და სვიმონ აგაშენაშვილი, გორა ირიაული კი სასიკვდილოდ დაიკრა.

დეპუტატი ვ. გელოვანი ზემო იმერეთში

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვ. გელოვანი 15 ოქტომბერს ეწვია დაბა ზესტაფონს. აქ დეპუტატს წარუდგნენ შორაპნის მაზრის, კლდეეთის საზოგადოების წარმომადგენელნი—დაახლოვებით 30 კაცი და აუწყეს ის გაჭირვება, რომელიც მათ შორაპნის მაზრის ადმინისტრაციამ მიაყენა. „არ იციან, ბ-ნო, ჩვენმა ქალებმა თქვენი აქ მოსვლა, თორემ 300 ქალი მოვიდოდა და გადმოგცემდათ იმ შეურაცხყოფას, რომელსაც განიცდიან ვითომდა ყაჩაღების შესაპყრობად გამგზავრებულ საერობო დარაჯებისაგანო“.—უთხრა დეპუტატს ერთმა მოხუცმა. ხალხის წარმომადგენლებმა დეპუტატს დაახლოვებით შემდეგი გადასცეს: წელს, აგვისტოს პირველ რიცხვებში, სოფ. კლდეეთში ვიღაც ბოროტმოქმედმა მოჰკლა გლეხი ბუხრაშვილი და მისი გვამი ჩუბინიძეების ტყეში მიწაში ჩაჰფლა. მაზრის ადმინისტრაციამ მთელი საზოგადოება სამი დღით გააჩერა იმ ადგილს. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ მღვდლებიც; დიდი მარხვა იყო და საზიარებლად გამზადებული ხალხი მოკლებული იყო წირვა-ლოცვას მესამე დღეს მოკლულის გვამი აღმოვაჩინეთ, მარამ გამომძიებლის მოსვლამდე ერთი დღე კიდევ დატყვევებული ვყავდით მაზრის უმფროსს და ვინ ჩამოსთვლის რამდენ შეურაცხყოფას განვიცდითო.

სოფ. კვალითში 10 აგვისტოს წარმოდგენა გამართეს, რომელსაც დაესწრო მთავრობის მამასახლისი ექვსი დარაჯით. უკან დაბრუნებულ მამასახლისს წინ შეეფეთა ორი ყაჩაღი და ერთმა მათგანმა, დარაჯად ნამყოფმა ქობულეთელმა, მამასახლისს „სტრაჟნიკი“ მოუკლა. ახლაც მაზრის უფროსმა მთელი საზოგადოება დაგვატყვევა და წინადადება მოგვცა, აუცილებლად გაგვეცა მკვლელი. მაგრამ, აბა, ჩვენ სიდან შეგვეძლო, უიარაღო ხალხს, ყაჩაღების შეპყრობა, როდესაც თვით პოლიცია ვერას გახდა. სამი დღის შემდეგ მაზრის უფროსმა გამოგვიცხადა: 10,000 მანეთი შემოიტანეთ და გაგანთავისუფლებთო. და ხალხს იმდენი ფულის გადახდა სრულიად არ შეეძლო, ამიტომ ფულიც ვერ წარვადგინეთ. კიდევ ექვსი დღე ვიყავით დაპატიმრებულნი, მღვდლებს იმის ნებასაც კი არ აძლევდნენ, რომ ღვთის მსახურება შეესრულებინათ. შიმშილისაგან ყველანი მკვდრებს დავემგზავსეთ. გულ-შემოყრილთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა; რამოდენიმე კიდეც აზიარეს. დიდის წვალების შემდეგ 15 კაცი [illegible]პარეთ და დეპეშა გამოგიგზავნეთ თქვენ, ბ. დეპუტატო, რომელშიაც ჩვენს წარმოუდგენელ გაჭირვებას გატყობინებდით. როდესაც ეს მაზრის უფროსმა შეიტყო, თავის მართლება განიზრახა, ხალხი გზის საკეთებლად მყავდა გამოყვანილიო. და მართლაც, ცხრა დღის დაპატიმრების შემდეგ, ექვსი დღით კიდევ გზის საკეთებლად წაგვიყვანა.

1912 წელს კვალითში მოჰკლეს სოფლის მოსამართლე ხუსკივაძე. აქაც მაზრის უფროსმა 4 დღით დაგვატყვევა შემდეგ ხუთ-ხუთი მანეთით დაგვაჯარიმეს თვითეული კომლი და მეძებარ ძაღლების შესაძენად და შესანახად იმ დღიდან 70 მანეთს გვახდევინებენ თვეში. ბოქაულ ნემსაძის მოკვლის შემდეგ ზესტაფონსა და კვალითს 19 ათას მანეთამდის ჯარიმა გადაახდევინეს. ფული ქირისუფალთ დღემდის არ მიუღიათ და არც ჰსურთ მიიღონ, რადგან თხოულობენ ხალხს დაუბრუნეთო.

ორი წელიწადია, რაც მთავრობის მამასახლისი და დარაჯები (15 კაცი) დაგვინიშნეს. მათი რჩენა ხალხს მძიმე ტვირთად აწევს და დღემდი მათ ყაჩაღების შესაპყრობად არა გაუკეთებიათ რა. იყო შემთხვევები, როდესაც მათ იცოდნენ ყაჩაღების ბინა, მაგრამ გვერდს უვლიდნენო.

საქალაქო სასწავლებლის შენობა აგო მაზრის უფროსმა საზოგადოების ხარჯზე, ამასთანავე ხალხსაც უფასოდ ამუშავებდნენ. შემდეგ კი სკოლის შენობა ბანკში დააგირავაო. გთხოვთ, ბ-ნო დეპუტატო, გვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ გაგვაცნონ ამ საქმის ანგარიშიო.

წარმომადგენლების სიტყვით, აგრეთვე მაზრის უფროსმა საზოგადოებებს სამას-სამასი მანეთი გადაახდევინა სუფრის მოწყობილებისათვის, (დანა-ჩანგალი და სხვა): მთავრობის მოხელენი გვეწვევიან და მზად ვიქნებითო; გვინდა ვიცოდეთ მოხმარდა თუ არა ეს ფულები თავის დანიშნულებას და ანგარიშიც სწორედ არის შედგენილი თუ არაო. შორაპნის საზოგადოების მამასახლისმა ზოგირების ასაგებად შეკრებილი 500 მანეთი მაზრის უმფროსს გადასცა. ზოგირები კი არ გაუკეთებიათ. მამასახლისს მაზრის უფროსმა მოსთხოვა ხელ-ახლად შეეკრიბა ფული, რაზედაც მან უარი განაცხადა. მაზრის უმფროსი მამასახლისს დაემუქრა, სამართალში მიგცემო. შეშინებულმა მამასახლისმა თავი დაიხრჩო.

საერთოდ წარმომადგენლებმა სთხოვეს დეპუტატს: თუ შესაძლებელია, მაზრის უმფროს ოლხოვსკის ანგარიში მოეთხოვოს საზოგადოების ხარჯით სასოფლო კანცელარიებისა და სკოლების აშენებაშიო; ითხოვეს აგრეთვე, ეცნობოთ მათ, სად მიდის აგამოსაკრები თანხის გადასახადიო. დასასრულ აუწყეს დეპუტატს წრევანდელი მოუსავლობა და დახმარება სთხოვეს. დეპუტატმა დიდი თანაგრძნობით მოისმინა წარმომადგენლების თხოვნა და აღუთქვა: ყოველივე ღონისძიებას ვიხმარ თქვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლადო. შემდეგ დეპუტატს წარუდგნენ ადგილობრივი ვაჭრები და თვისი მდგომარეობა აუწყეს. მათი განცხადებიდან განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში ზესტაფონში ვიღაც ბოროტ-მოქმედნი თურმე დუქნებს სწვავენ; დაბაში 14 დარაჯია და დღემდი კი დამნაშავენი ვერ აღმოაჩინესო. აქვე დეპუტატს წარუდგინეს კვიტანციები სხვადასხვა გადახდილ ჯარიმისა, რომელშიაც ყურადღებას იპყრობენ შემდეგი შინაარსის საკვიტანციო ბარათები: მიღებულია ამა და ამისაგან 5 მანეთი ყაჩაღების დაფარვისათვისო. დეპუტატმა მათაც აღუთქვა: ყოველივეს უმაღლეს მთავრობას ვაცნობებ და ვეცდები უკანონოდ გადახდილი ჯარიმები უკანვე დაგიბრუნდეთო.

15 ოქტომბერსავე საღამოთი დეპუტატი ვ. გელოვანი ჭიათურას ამოვიდა. დეპუტატს დაუხვდა ადგილობრივი ინტელიგენცია და სთხოვა: მხარი დაეჭირა ჭიათურის თვითმართველობის განხორციელებისათვის. დეპუტატი კარგა ხანს ესაუბრა ამ საკითხის შესახებ დამსწრეთ და აღუთქვა თვისი დახმარება. მეორე დღეს დილით დეპუტატმა რამოდენიმე ადგილს ინახულა ჩამოსაზიდ მანქანის მუშები. მუშები მისასალმებელი სიტყვებით ეგებებოდნენ და შემდეგ კი თვის გაჭირვებას უზიარებდნენ ხალხის წარმომადგენელს. აღნიშნეს, მაგალითად, საცხოვრებელ ბინის სრული უვარგისობა და აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც, რომ მუშებს თავისუფლებას (ОТПУСКЪ) არ აძლევენ.

მუშებმა დეპუტატს სხვათა შორის უთხრეს: ჩვენი თხოვნა ის არის, მტკიცედ და მედგრად დაიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესებიო. დაბაში დაბრუნებისას დეპუტატი ინახულეს გლეხებმა, გვარად ბრაგვაძეებმა და თაბაგრებმა, აუწერეს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, რომელსაც იგინი განიცდიან ერთის მხრივ მღვიმევის მონასტრისა და მეორეს მხრივ წერეთლების მიერ მათი მიწების მითვისების გამო. აღნიშნეს ისიც, თუ როგორ მძიმე ტვირთად აწევს სასოფლო საზოგადოებათ კანცელარიებში ჩაყენებულ „სტრაჟნიკების“ შენახვა; დაუსურათეს აგრეთვე წრევანდელი მოუსავლობა და დახმარება სთხოვეს. აღსანიშნავია, რომ გლეხებმა დეპუტატს ისიც სთხოვეს: სოფლებში საძიკიტნოები ვრცელდება და გთხოვთ ასეთი მოვლენის გავრცელების წინააღმდეგ ზომები მიიღოთო და აგრეთვე გზის საკეთებლად, ვთხოულობთ, ყველა წოდების ხალხი გამოჰყავდეთო, რადგან გზა ყველას სჭირდებაო. დეპუტატი ძლიერ გულმხურვალედ მოეკიდა, როგორც მუშების, ისე გლეხების განცხადებას და აღუთქვა: ყოველივე საშუალებას ვიხმარ, თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნასო. კერძოდ გზის კეთებისა და მოუსავლობის გამო დახმარების შესახებ დეპუტატმა მათ შემდეგი უთხრა: მე უკვე აღვძარი მეფის მოადგილესთან შუამდგომლობა, რომ გზის საკეთებლად ყველა წოდება გამოჰყავდათ, რადგან, თქვენი თქმის არ იყოს, გზა ყველას სჭირდება, როგორც გლეხს, ისე თავადს, აზნაურს, თუ მღვდელსო. რაც შეეხება მოუსავლობას, მე უკვე ვესაუბრე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც დამპირდა: უეჭველად დახმარებას აღმოვუჩენთო. აგრეთვე წელს სახელმწიფო გადასახადების აკრების შეჩერების იმედიც მაქვსო.

ქიათურიდან დეპუტატი საჩხერეს გაემგზავრა. სადგურზე მას ბლომად დაუხვდა ხალხი. ერთმა ებრაელმა მეტად მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ხალხის წარმომადგენელს და თავისი მიმართვა შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა: „კეთილი იყვეს თქვენი მობრძანება ჩვენს მრავალ ტანჯულ ქვეყანაში და ღმერთმა ჰქმნას, შეგძლებოდეთ მისთვის ცრემლი მოგეწმინდოთო“. შემდეგ დეპუტატი ინახულა ებრაელების დეპუტაციამ და თავისი გაჭირვების შესახებ ესაუბრა. აქაც დეპუტატი დიდის ყურადღებით ისმენდა ხალხის გაჭირვების ამბავს და აღუთქვამდა, რაც კი შეეძლება, თავს არ დაიზოგავს, რომ თქვენს გაჭირვებას რითიმე დავეხმაროო.

დეპუტატი ინახულა აგრეთვე საჩხერეში მოვაჭრეთა დეპუტაციამ და აუწყა რა დაბის მრავალი საჭიროება (ხიდის გაკეთება, გზების შესწორება და სხვა) ხალხის წარმომადგენელს დახმარება სთხოვა.

საზოგადოდ, სადაც კი გაეგოთ, რომ დეპუტატი გელოვანი გვესტუმრაო, ყოველი კუთხიდან მოდიოდა ხალხი მაგრამ საუბედუროდ ბევრმა არ იცოდა მისი მოსვლის ამბავი, თორემ მრავალი ინახულებდა თავისი გუბერნიის წარმომადგენელს და აუწყებდა იმ გაჭირვებას, რომელსაც დღეს ქუთაისის გუბერნიის ყოველი კუთხე განიცდის. იმდენად მოულოდნელი იყო დეპუტატის ზემო იმერეთში მოსვლა, რომ სოფლის საზოგადოებათ ამის შესახებ არა იცოდნენ რა, თორემ, ვიმეორებ, ყოველი საზოგადოებიდან თავის წარმომადგენლებს გამოგზავნიდნენ, რათა დეპუტატისთვის გადაეცათ თვისი შევიწროვებული მდგომარეობა და ჭირ-ვარამი. მიუხედავად ამისა, სადაც კი მოასწრო დეპუტატმა მისვლა, ყველგან ხალხი ისწრაფოდა, მისალმებოდა თავისი წარმომადგენელს და იჩქაროდა მისთვის პირადი, თუ საზოგადოებრივი გაჭირვება გადაეცა. ღირსშესანიშნავი იყო ერთი ქიათურელი მუშის სიტყვა, რომლითაც იგი დეპუტატს მიესალმა და რომელშიაც დეპუტატი სახელმწიფო სათათბიროში თვისი ერის პირველ წარმომადგენლად დასახა. დეპუტატი შეგვპირდა; გაის ზაფხულში უფრო ხანგრძლივად ვინახულებ საერთოდ მთელს ქუთაისის გუბერნიას და კერძოდ ზემო იმერეთს და მაშინ უფრო მეტი შეძლება მექნება, ახლოს გავეცნო ჩვენი ხალხის ჭირვარამსო. საღამოს 10 საათზე დეპუტატი ფოთს გაემგზავრა.

ზემო იმერელი.

იალტა და მისი მიდამოები

(მგზავრის შთაბეჭდილება).

წასულ თვეში შემთხვევით დავათვალიერეთ სასოფლო სამეურნეო გამოფენა იალტაში. მართალია, იალტა ჩვენზე გვარიანი მოშორებით არის, მაგრამ, რაკი იქაურ ბუნებას (ყირიმის სამხრეთის მხარეს) ჩვენებურ ბუნებასთან ბევრი რამ საერთო აქვს, ამიტომაც ზედ მეტად არ მიმაჩნია ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო ქართველ მკითხველს.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ იალტა და მისი არე-მარე იშვიათი ლამაზი და თვალწარმტაცია, გაშენებულია შავი ზღვის ნაპირად; ადგილ-მდებარეობა მთიან-გორიანია. ძლიერ ჩამოჰგავს ბათომის მიდამოებს: ჩაქვსა და ციხისძირს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იალტასა და მის მახლობლად მდებარე უბრალო სოფლებს სიმდიდრე სდის და გადასდის; ყველაფერი შემუშავებულია, გეგმაზე ნაკეთებია. ძვირფასი შენობები, იშვიათი ბაღები ამ ხრიოკ ადგილებს ამშვენებს, ადამიანს იზიდავს, ჰხიბლავს და რაღაც ზღაპრულ ქვეყანაში შეჰყავს. თავი დავანებოთ თვით იალტას, ის ხომ ცნობილია თვისი სამეფო საცხოვრებელ **ლივადიით.** ის იმდენად შენობებით არის სავსე, რომ მას უცხოელების ჯიბრზე „რუსულ **რივიერას**“ უწოდებენ. მიმოვავლოთ თვალი იალტის მეზობელს, უბრალო სოფლებს აღმოსავლეთით და დასავლეთით: ნიკიტა, გურზუფი, ალუპკა, ალუშტა, სიმეიზი, აი-პეტრი, ჩატირ-დაგი და სხვები. ყველა ამ სოფლის ნახვა თავისი სასახლეებით და ამ ქვეყნიური სიმდიდრით უნებურად წამოგაძახებინებს პოეტის სიტყვებს:

„განცხრომის ძევ, ნებიერათ გაზდილო
შენთვის არის ეს ქვეყანა შექმნილი!“...

და მართლაც, განცხრომის ძეთ ეს ადგილები თავიანთ საფუფუნოდ გარდაუქცევიათ — იქაური მკვიდრი მშვიდი და წყნარი, უკულტურო თათრები სადღაც კუნჭულში შეურეკიათ, აქაურობას თვით დაპატრონებიან და უბრალო სოფლები „კურორტებად“ გადაუქნიათ. ეტლების მიმოსვლა, ავტომობილების სრიალი, მოაგარაკეთა სიცილ-კისკისი, ზღვაზე საკუთარი ნავებით რონინი, სხვა და სხვა ევროპიელი სპორტი და სხვა,— ყველა ეს მდიდარი კლასისთვის არის. აქ საშუალო კლასი, საშუალო შეძლების პატრონი თითქმის არ არის — მდიდრები და მათი ნება-სურვილის ამსრულებლები, აი ვინ არიან აქაურობის ბრძანებლები და ბრძანების ამსრულებლები.

იალტის მიდამოს ბუნება (მცენარეების მიხედვით) მოგაგონებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ესე იგი, შეხვდები იმავე მცენარეებს, რომლებიც იზრდებიან და ხარობენ ბათომის არე-მარეში, შავი ზღვის პირად, და იმავე მცენარეებსაც, რომლებთაც შეხვდებით ქართლ-კახეთის ტყესა და მინდვრებში. ჩვენ ვერ ვნახეთ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს განუშორებელი უხვად მოზარდი თხმელა (მურყანი). ცხადია, აქაურ მშრალ ნიადაგს ეს ჭაობის მცენარე, წინა მორბედი უჟმურის (მალარიის) ვერ უგუებია. ეჭვი არ არის, თუ ოდესმე ძველ კოლხეთს ეღირსება იგივე კულტურა და თუ კოლხეთშიც დაიბანდება მილიონები, ჭაობები ამოშრება და მაშინ თხმელაც თავისით გადაშენდება და მისსა და დღევანდელ ეკალ „კურკა ნტელას“ (ღიჟი) მაგიერ კულტურული მცენარეები გაშენდება; მაშინ ჩვენი კუთხეებიც ბევრით უკეთესი იქნება იალტისაზე, თორემ არა ნაკლები; ამისი თავდებია ჩვენებური მიწის პოხიერება. და ჩვენებური უფრო ნაზი ჰავა, ვიდრე ყირიმისა.

საზოგადოდ ყირიმის სამხრეთ ნაწილში უმთავრესად მისდევენ მევენახეობას, მებაღეობას და მეთამბაქოობას. ყირიმის მკვიდრი ბინადრები არიან ყირიმის თათრები; აქაური თათრები თავის ერთმორწმუნე თათრებისაგან ბევრით განირჩევიან, მაგალითად, ქალები უპირბადოთ დადიან, კაცებმა სისხლის აღება არ იციან, მაგრამ თათრული სიზარმაცე და უკულტურობა მართლაც აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი. ამიტომაც საკვირველი არ არის, თუ მათი მიწის უმეტესი ნაწილი სხვებს შეუძენია და ზედ ზვრები გაუშენებია. აქაურ თათრებს მიწის მცირე ნაწილი-ღა აქვთ შერჩენილი და თუ ზოგიერთს პატარ-პატარა ვენახებიც აქვს, მოსავალს ყურძნად ჰყიდის. ზვრები და თამბაქოს პლანტაციები კი სულ უცხოელების (მოსულების) საკუთრებაა. თათრები კი ამათი წყალობის შემყურენი არიან. სხვა წყაროს აქაური თათრისას შეადგენს მეგზურობა. ზედ-მეტი არ იქნება მოკლედ გავაცნოთ მკითხველს რა არის აქაური მეგზური.

იალტისა და მისი მიდამოების დასათვალიერებლად ყოველ წლივ რუსეთის სხვა და სხვა ადგილიდან დიდძალი ჭრელი ხალხი იყრის თავს. მცირე ნაწილი, რასაკვირველია, სამეცნიერო მიზანით ათვალიერებს აქაურობას, უმეტესობა კი ფულებს ფანტავს, დროს ატარებს. ასეთ მომოგზაურებს მასპინძლად ხვდება საზოგადოება „სამთო კლუბი“, რომელიც ზრუნავს ექსკურსანტებს გაუადვილოს მგზავრობა, რიგიანად და იაფად აჩვენოს ყველაფერი. ყველა იმისი ნახვა, რაც კერძოდ დაუჯდება ერთ მგზავრს ხუთი ექვსი თუმანი, „სამთო კლუბის“ წყალობით ამხანაგურ ექსკურსიაში დაჯდება 5—10 მან. „სამთო კლუბს“ ჰყავს თავისი მეგზურები, რომლებმაც იქაურობა „ხელის გულივით“ იციან; ესენი იღებენ გადაწყვეტილ გასამჯელოს და მიუძღვებიან წინ მგზავრებს და უწევენ ხელმძღვანელობას. „სამთო კლუბს“ ეტანება უფრო საშუალო შეძლების მოგზაურები, ისეთები, რომლებსაც გართობა და ქარაფშუტობა დიდად არ აინტერესებთ, არამედ გონებრივ გასართობს უფრო ეძებენ. მაგრამ არიან ისეთი მოგზაურებიც, მეტადრე ქალები, რომელთაც მთაში, მივარდნილს ადგილას, ხევ-ხუვებში „ამაზონკით“ გიჟ ცხენებზე გიჟური თქარა-თქური, და მერე დაღლილს, ბუნების წიაღში დასვენება და თვით მეგზურთან მიბნედილი თვალების ნაბვაშვი მეტ სიამოვნებას განიცდიან. ცხადია, ასეთი მგზავრებიც მეგზურს „შესაფერს“ ეძებენ და შედარებით მათი მეგზურობაც დიდად ჯილდოვდება. ძლიერ ბევრს ნახავ მეგზურს, რომელსაც ბევრი ძვირფასი საჩუქარი აქვს თავის ყოფილ „კურტიზანკისაგან“. ბევრი მეგზურის ძათრახი არის შემკული ოქროსა და ვერცხლის „მონოგრამებით“ (ასო მთავრულით).

მაგრამ დროა თავი ვანებოთ ამ ქვეყნის რჩეულთ, დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

წარსული თვის 12 იალტაში, ქალაქის ბაღში გაიხსნა სამეურნეო გამოფენა. გამოფენა კოხტა პატარძალივით არის მორთულ-შემკული. არც საკვირველია, რომ ის დიდებულად იყოს მოწყობილი, რადგან თითქმის უმეტესობა გამოფენაში მონაწილეობის მიმღებისა ისეთებია, რომელნიც ვენახ-ბაღებს მილიონობითა ხარჯავს და მის გამამშვენიერებელ—გასამდიდრებლად არავითარ ხარჯს არ ერიდება.

ასეთია, მაგალითად, ლივადიის საუფლისწულო ბაღი, ნიკიტის საბაღოსნო სკოლა, (საიმპერატორო ბაღი) მილიონერი ბეკეტოვი და სხვანი. ლივადიის ბაღს ცალკე ფარდული აქვს დათმობილი და დიდ ყურადღებას იქცევს ხილეულობისა და ყურძნის მდიდარი კოლექციით. რა ჯურის, რა სიმსხოსი და ფორმის ვაშლი და მსხალი გინდა რომ აქ არ იყოს გამოფენილი. ბევრნაირი ჯიშის ყურძენიც ძლიერ კარგი სანახავია. ფარდულის წინ პატარა ქოთნებში ჩარგულია მსხმოიარე ჯუჯა (ნაგალა) ხეხილები; მოგახსენებენ: სამეფო სუფრაზე აგრე მსხმოიარეს მიართმევენ ხოლმეო.

ყურადღებას იპყრობს ადგილობრივი (თათრების) შინამრეწველობის ნაწარმოების ფარდული, რომელსაც განაგებს თათრის ქალი და თავისი პატარა მოწაფე თათრის ქალით დამთვალიერებელს ახსნა-განმარტებას აძლევს.

დიდი ყურადღება მიიქცია უმილო წყალსადენმა (насосъ) ეს ახლად გამოგონილი მანქანა არ საჭიროებს არავითარ მილს, სულ უბრალო შედგენილობისა არის. ბორბალი ატრიალებს ერთი-მეორეზე გადაბმულ ჯაჭვს, ჯაჭვს კი სიღრმიდან ამოაქვს წყალი. მანქანა გაკეთებულია საფრანგეთში, მაგრამ მას „სასწაულ წყალსადენის“ სახელით ასაღებს ინჟენერი მირიმანოვი, რომელიც ამბობს: ქართველი ვარ, ტფილისელიო. მანქანა ღირს 225 მან. და ძლიერ ბევრიც საღდება.

ძმ. კანდელაკების სარდაფი.

ქართველის ყურადღებას მიიპყრობს პატარა, მაგრამ კოხტა და ლაზათიანი ფარდული ძმ. კანდელაკებისა. ეს ფარდული ნამდვილი ასლია იმ სარდაფისა, რომელიც ბ-ნთ ძმ. კანდელაკებს აქვთ სოფ. ნიკიტაში *). ფარდულის წინ ორი ჩვენებური უზარმაზარი ქვევრია; შიგნით ფარდულში ერთს კუთხეში ალაგია ჩვენებური: ტიკი, გიდელი, ხრიკა (კოპე) სარცხი, კულა, საწნახელი (მოდელი) და სხ. ყველა ეს უცხოელების დიდ ყურადღებას იქცევს. დიდი მთავრის მიხეილის შვილმა დიდი მადლობა უთხრა ბ-ნ კანდელაკთ: „ყოველივე ამის ნახვით მამა ჩემის საყვარელი საქართველო მომაგონეთო“. შიგნით ფარდული სავსეა შნოიანი ბოჭკებით და თავიანთი სარდაფის ღვინით სავსე ბოთლებით. ფარდულს ერთი შეხედვით შეატყობ, რომ ის საქმის კაცებს ეკუთვნის: იგი ისე არ ბრჭყიალებს, როგორც, მაგ. ბეკეტოვის ფარდული, მაგრამ სამაგიეროდ, პატრონების საქმიანი, მზრუნველი ხელი ეტყობა. ძმ. კანდელაკები ერთად-ერთი ქართველებია, რომელთაც თავი იჩინეს ყირიმში. უფროსი ძმა ევგენი ანტ. კანდელაკი წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში იყო მასწავლებლად. ბეჯით მასწავლებელს თვით შეუყვარდა მეურნეობა და შევიდა ნიკიტის საბაღოსნო მეღვინეობის სკოლის უმაღლეს კურსებზე, რომლის დასრულების შემდეგ აქვე ყირიმში დარჩა კერძო მემამულის გამგე-მეღვინედ. შემდეგ უმცროს ძმას, ვალერიანეს გაათავებინა ნიკიტის სამეურნეო სკოლა, 1903 წელს. სამ წელიწადს უმცროსმა ძმამაც კერძოდ იმსახურა სიმეიზში. შემდეგ კი ორივე ძმა მესამე ამხანაგთან ერთად იძენენ საკუთარ მამულს შვიდ დესიატინა ვენახს ევროპიული სარდაფით და იწყებენ საკუთარ მეურნეობას. ერთი სიტყვით, საკუთარი შრომით, გამოცდილებით და საქმის სიყვარულით გატაცებული ძმები ძლიერ მალე იქცევენ საზოგადოების ყურადღებას. დღეს მათი ფირმა უკვე ცნობილია და სხვადასხვა გამოფენაზე დაჯილდოვებულია ოქროს ხუთი მედლით. ახლანდელ გამოფენაში მათი ნაწარმოები ჯიბრს გარეშეა.

მათ სარდაფში მუშაობს ათამდე ქართველი ახალგაზრდა. საზოგადოდ ეს პატივცემული პირები ჩვენებურ ახალგაზრდებს დიდ მფარველობა მასპინძლობას უწევენ. ყველაზე მეტად ძმ. კანდელაკების ფირმამ ყურადღება მიიქცია ბადაგის (ყურძნის წვენი) გაკეთებით. ბადაგი ყურძნით ექიმობის მაგიერობას შვრება და დიდი მოთხოვნილებაც აქვს. მისი საუკეთესოდ მომზადების საიდუმლო კი კანდელაკების ფირმას ეკუთვნის. ბევრმა სცადა მიებაძა მათთვის, მაგრამა მაოდ. წარსულ წელს მოამზადეს 40,000 ბოთლი ბადაგი. საზოგადოდ ძმ. კანდელაკებს ძლიერ ფართო წარმოება აქვთ და დიდი ნდობითაც ეპყრობიან. სწორედ რომ სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ ჩვენს თანამემამულეებს მიუხერხებიათ მეტოქეობის გაწევა მილიონერებისათვის.

მეურნე.

მშვენიერი ტანჯვა

1

როდესაც დილით, მარჯნის ფერ დილით,
აშრიალდება ჭუკლუკა წყარო—
მაშინ ვიღვიძებ მსხვრეულის ძილით
და შენ გიგონებ, დაუვიწყარო!..
როს ტყიდან მესმის, მე უნუგეშოს,
მთვლემარე შაშვის გამონასტვენი—
ვიგონებ ჩვენსა საპირფარეშოს
და მენატრება ალერსი ჩვენი!..
როცა ნიავი მზის ყაისნალით
ვარდის კანვაზე ჰქარგავს შენს სახეს—
მაშინ მე ვსტირი გულის წიაღით
ჩემს სიზეჩავეს, ჩემს სივაგლახეს!..
გაფიცებ, სატრფოვ, ლოცვას ზეციერს
მომაკვდავთ გულში დამკვიდრებულსა:
მე ტანჯვას ვეძებ, ტანჯვას მშვენიერს,
თვით სიყვარულზე შეყვარებულსა!..

2

იცინის ღამე! იცინის ღამე!
ღმერთს გეფიცები იცინის, ქალო,
აი მეც თვალი ავახამხამე
და მინდა გულიც ავაფანცქალო...
მაგრამ შენ იცი ნამდვილად რა მსურს?
შენ იცი ფიქრი ჩემი გულისა?
ჰო-და თუ მომცემ რამე საფასურს:
მომეცი სევდა სიხარულისა!..
მე შენ დაგეძებ, შენ, სიხალისევ,
და მიტომ შევქმენ დღე საგანგებო,—
რომ ხვალ ხელახლა დაგკარგო ისევ,
რომ ზეგ ხელახლა ისევ გეძებო!..
გაფიცებ, სატრფოვ, სიცოცხლის იერს
სიკვდილის ეშხით მინაზებულსა:
მე ტანჯვას ვეძებ, ტანჯვას მშვენიერს,
თვით სიყვარულზე შეყვარებულსა!..

ი. გრიშაშვილი.

რუსეთი

კანონ-პროექტი საყოველთაო სწავლა-განათლების შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ უარჰყო საყოველთაო სწავლების კანონ-პროექტი, რადგან სათათბირომ სამრევლო სკოლებისთვის $1^1/_2$ მილიონის გადადების თაობაზე უარი სთქვა. ეხლა სამინისტრო ახალს კანონ-პროექტს შეიმუშავებს, რომლითაც სამრევლო, სამინისტრო, ქალაქებისა, ერობისა და განმანათლებელ საზოგადოებათა სკოლები ერის სახალხო სკოლად იქნება აღიარებული. კერძოდ სამრევლო სკოლების საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. სკოლის ტიპის გამორკვევა ახალი პროექტით სამაზრო სასკოლო საბჭოს საქმეა. საბჭოვე თავის მაზრაში მოაწყობს სკოლებს და შეიმუშავებს ახალი სკოლების გახსნის გეგმას. ამ პროგრამის განხორციელებას ათი წლის განმავლობაში აპირებენ. ყოველ სამ ვერსზე ერთი სკოლა გაიხსნება, თითო სკოლაში 50 კაცი იქნება, ხოლო კურსი სწავლისა ოთხ-წლიანი. ბავშების წლოვანება 8—10 წლამდეა. სკოლის ხარჯს სოფელი იკისრებს, მთავრობა დაეხმარება 450 მანეთით თითოეულს სკოლას. მთავრობის აზრით, ამ საქმეს სულ მოუნდება დამატებითი ხარჯი 10 მილიონამდე მთავრობა ერთდროულ ხარჯს გასწევს სკოლების ბინების ასაგებად, რომელიც აღნიშნულ ხარჯში არ შედის.

მთავრობა შეუძლებლად სცნობს, ეხლავე აღნიშნოს სავალდებულო საყოველთაო სწავლების შემოღების დრო. უმთავრესად კანონ-პროექტით მთავრობა აპირებს ერობებსა და ქალაქებს ხელი შეუწყოს სკოლების გავრცელებაში. მასწავლებლების მოსამზადებლად მთავრობა თანდათანობით რომანოვის სახელობის სამასწავლებლო 100 ინსტიტუტს გახსნის. 1914 წლიდან 5 წლის განმავლობაში უნდა გაიხსნას რომანოვის სახელობის ინსტიტუტები. ყველა სკოლაში ორჯერ მეტი მასწავლებელი უნდა იყვეს, ვიდრე ეხლა. ცხადია, თუ სავალდებულო სწავლა იქნა შემოღებული, ღარიბ ბავშვებს საჭმელი, წიგნი და ტანისამოსი უფასოდ უნდა მიეცეთ. მთავრობის აზრით, ეს საქმე ადგილობრივმა დაწესებულებებმა უნდა იკისრონ. მთავრობა ურჩევს ერობათა და ქალაქებს, რაც შეიძლება პროფესიონალური ხასიათი მისცენ სკოლებს; სხვადასხვა ხელობის სწავლება ძლიერ სასარგებლო იქნებაო. კერძოდ პროფესიონალურ სკოლების პროექტს ამ ჟამად იმუშავებს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო და საკანონმდებლო პალატებს წარუდგენს.

ამას გარდა განათლების სამინისტრო იმუშავებს ახალს პროექტს საშუალო სასწავლებლების—გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების— გავრცელების თაობაზე, ეს პროგრამაც მომავალ 10 წელიწადში უნდა განხორციელდეს.

უცხოეთი

ალბანეთის საკითხი.

ბელგრადში მყოფმა ავსტრიის ელჩმა თავის მთავრობის სახელით მოახსენა სერბიისას, რომ 13 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე გადის ვადა, რომელიც ავსტრიამ დასდო სერბიელებს ჯარის მიერ დაჭერილ სტრატეგიულ ადგილების გასანთავისუფლებლად. ამასთანავე ელჩმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სერბიამ ავსტრიის მოთხოვნილება არ შეასრულა, მაშინ ვენის კაბინეთი თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შესაფერ ღონისძიებას მიიღებს; შემდეგ კი სერბიას მოსთხოვს იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელსაც გამოიწვევს ალბანეთში ავსტრიის ჯარის გაგზავნა. ასეთივე განცხადებით მიმართა სერბიის ელჩს ვენაში გრაფმა ბერტჰოლდმა.

საერთაშორისო გამოფენა წიგნებისა.

1914 წელს ლეიპციგში გაიმართება საერთაშორისო გამოფენა წიგნებისა. რუსეთის პავილიონის მოსაწყობად გადადებულია 260 ათასი მარკა. რუსეთის განყოფილების კომისრად დაინიშნა ბ-ნი ბელგრადტი. სხვათა შორის ქართულ საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამაც მიიღო წინადადება თავისი ექსპონატები განგზავნოს გამოფენაზე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. მეტერლინკს ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოება. ქართულად ორიოდე მისი ნაწარმოებია გადმოთარგმნილი. მეტერლინკი ჩვენი დროის დიდებული დრამატურგია, იგი არა თუ შესანიშნავი მხატვარია, ძლიერი მოაზროვნე ფილოსოფოსი, მკვლევარი, რომლის უკანასკნელმა თხზულებამ „სიკვდილის“ შესახებ საერთო ყურადღება მიიპყრო. მეტერლინკი შეუდარებელი პოეტია ნაზი სულის, სიყვარულის, მსოფლიოს იდუმალობისა. მისი პიესები მუსიკალური პოემებია, იშვიათის ხელოვნებით დასურათებულნი. სამწუხაროდ ქართულ სცენაზე ორი პიესა იყო წარმოდგენილი მეტერლინკის „და ბეატრისა“ და „დაუპატიჟებელი სტუმარი“; ამ რამდენისამე წლის წინად ითამაშეს აგრეთვე მისი „მონა ვანადან“ გადმოკეთებული „მურად ფაშა“.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალედ მიიღო გუშინ წარმოდგენილი „და ბეატრისა“, ეს საუცხოვო ჰიმნი წრფელი სიყვარულისა. მაყურებელთა გულს [illegible] წვდა სავსებით სიმშვენიერე ბეატრისას სიყვარულისა და სიწმინდე ტანჯვისა, ტანჯვის გამაკეთილშობილებელი, ამამაღლებელი სიდიადე. მე უნებურად მომაგონდა ზეინაბის გასამართლება ამ ხუთი წლის წინად, როდესაც საზოგადოებამ კინჭის ყრით დამნაშავედ აღიარა ეს, განცდილ სიმწარით გმირად ქცეული, ქალი. ეხლაც თითქოს გვერდი აუქცია საზოგადოებამ ბეატრისას წამებულს სულს. ნაზი მწერალია მეტერლინკი, ღრმა გულის გრძნობებია მისი გმირების განცდანი და ჩვენ ჯერ საკმაოდ არა ვართ მომზადებულნი ამის შესაცნობად.

ჩვენის მსახიობთა თამაშიც საერთოდ ტლანქი იყო და არ შეეფერებოდა პიესის ნაზს სიმშვენიერეს, მეტად გაკაპასებულად ლაპარაკობდა ქ. ქიქოძის ასული და სხვა მონოზნებიც, და მათი ყვირილი, გალობა სასწაულის გამო მოუხეშავი გამოვიდა. ლამაზი იყო გლახების სცენა, მხატვრული ის ადგილი, როცა ბეატრისა-ღვთისმშობელი სამს გლახას ხელს აბანიებს. ნ. ჩხეიძის ასული (ბეატრისა) სუსტობდა პირველ მოქმედებაში, ხოლო შესაფერი კილო მიიღო მეორეში და მესამე მოქმედებაში ძლიერად დახატა თავისი ნაწამები ცხოვრება არა. უშავდა ბ. იმედაშვილს ბელიდორას როლში. უნდა აღვნიშნოთ პატარა მედეა ქორიძის ასულის თამაში (ობოლი ბავში), რომელიც ეს მეორედ გამოდის ტფილისის სცენაზე.

თუმცა წარმოდგენამ სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მაგრამ მადლობა უნდა ვუთხრათ რეჟისორს, ბ. ქორელს, მეტერლინკის პიესის დადგმისათვის. დროა, მივაჩვიოთ ჩვენი საზოგადოება მეტერლინკის მზგავს მწერლების შეთვისებას. წარმოდგენას ემჩნეოდა ორიგინალობა და სიახლოვე, შუქი ახალის თეატრისა.

მეტერლინკის დრამის შემდეგ ქ. მდივნის ასულმა და ბ. ყურუშაძემ მხიარულად ითამაშეს ვოდევილი „უბედური დებიუტი“. **კალამი.**

ქართული თეატრი. დღეს, ტფილისის ქართ. დრ. დასი მართავს წარმოდგენას ქუთაისის ქალაქის თეატრში. წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის ორიგინალური პიესა „გადაჭრილი მუხა“. პიესა გასულს სეზონში სამჯერ იყო დადგმული. ეხლა რუსულადაც არის თარგმნილი, რომელიც მოსკოვის დრამატიულ თეატრს გაეგზავნა.

კვირას, 20 ოქტომბერს ეს პიესა

---

*) იხ. სურათი მომავალ კვირის დამატებაში.

დაიდგმება ტფილისის ქართულ თეატრში, იმავე განაწილებით, როგორც ქუთაისში.

მზადდება სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, რისთვისაც იხატება ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი. ტრაგედია დაიდგმება ახალის მიზანსცენებით რეჟისორის მ. ქორელის მიერ.

სულ ახლო მომავალში დაიწყება ბენეფისები. პირველი ბენეფისი ერგო დამსახურებულ მსახიობს ვ. აბაშიძეს.

დ. ჭიათურა. კვირას, 13 ოქტომბერს, ჭიათურის თეატრში წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის, ცნობილი ისტორიული პიესა „ღალატი“. ამ სეზონში უკვე ოთხი წარმოდგენა გამართა ადგილობრივმა დრამატიულმა საზოგადოებამ და მათში მხოლოდ ერთი ისტორიული პიესა დადგა. თუმცა ესეც, რომ არ დაედგათ, ბევრად უმჯობესი იქნებოდა.

ამ დღეს ჯვარს აცვეს სუმბათაშვილის შესანიშნავი ნაწარმოები. ვის არ მოეხსენება, რომ ეს პიესა ძნელი დასადგმელია, არამც თუ პროვინციის პატარა სცენებზე და სცენის მოყვარულთა მიერ, არამედ ჩვენი დედაქალაქების დიდ სცენებზედაც კი, სადაც უზრუნველყოფილია პიესის დადგმა კარგი ანსამბლისა და ტეხნიკური მოწყობის მხრივ.

ჭიათურაში დადგმული „ღალატი“ პირ და პირ შეურაცხყოფა იყო საზოგადოებისა, სახელოვანი ავტორისა, დრამატიული საზოგადოებისა და თვით მოთამაშეებისა.

ძალზე სუსტი იყო ზეინაბის რთულ როლში ქ. ქილარჯიშვილისა; მან სრულებით ვერ შესძლო გაეპიროვნებინა დიდ ბუნებოვანი ზეინაბი. ჩვენ სუმბათაშვილის ზეინაბს კი არა ამ უკანასკნელის უსულო აჩრდილს ვხედავდით. ასევე ითქმის რუქაიაზე, (ქ. აბაშიძისა). გაიანეს როლში შედარებით არა უშავდა ქ. ლოლუას ასულს თუმცა ხამაღადეობა მასაც უშლიდა ხელს. ისახარისა და მაიკოს როლს ერთი და იგივე სცენის-მოყვარე ასრულებდა და უკეთესი კი იქნებოდა, რომ არცერთი არ შეესრულებინა. ბ. მურუსიძე დაკვირვებული მსახიობია, მაგრამ მისი სულეიმან-ხანი ძლიერ სუსტი იყო. მან ვერ დაგვიხატა სამხრეთის ძლევამოსილი და სისხლით გაუმაძღარი ტირანი. მას უნდოდა დაეხატა ეს მრისხანება, მაგრამ განა მარტო ყვირილითა და ხელების ქნევით შეიძლება ამის გადმოცემა? ოთარ-ბეგს, რომელიც უმთავრესი გმირია პიესისა, და რომლის შესრულებაზედაც დამოკიდებულია მთელი პიესის მსვლელობა, ასრულებდა გამოუცდელი სცენის-მოყვარე, (გვარი არ ვიცით). არა უშავდა რა ერეკლეს (აბდუშელი) და საბას. ანანია, ბესო, ყარა-იუსუფი და ლათო სუსტები იყვნენ. საერთო შთაბეჭდილებაზე ძლიერ ცუდად მოქმედებდა როლების უცოდინარობა, რის გამოც რეპლიკები ერეოდათ და სუფლიორიც მეტად ხმამაღლა კითხულობდა. პიესა ტეხნიკურადაც ცუდად იყო დადგმული. შეუფერებელი დეკორაციები, ულამაზოთ და ყოველ გემოვნებას მოკლებული სცენები, შეუფერებელი გრიმები და სხვა.

ჩვენის აზრით, ამის მიზეზი სხვათაშორის ისიც უნდა იყოს, რომ აქ ყოველ კვირაობით იდგმება პიესები და აბა რა გასაკვირველია, რომ ერთ კვირაში მომზადებული „ღალატი“, და ისიც სცენის მოყვარეების მიერ, უკეთესი არ იყოს. სუმბათაშვილის „ღალატი“ მეტი ყურადღებისა და პატივის-ცემის ღირსია. **იტი.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

18 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ათინა. ოსმალელ დელეგატებს ჯერ არ მიუღიათ ინსტრუქციები ვაკუფების და მუფტიების საკითხთა თაობაზე. მიზეზად ოსმალეთის მთავრობის ახლს მოთხოვნილებას ასახელებენ. დელეგატების საერთო კრება ინსტრუქციების მიღებამდე არ შესდგება. საბერძნეთი დაჟინებით მოითხოვს ძველი შეთანხმების აღსრულებას.

ნიუ-იორკი. წყალდიდობის დროს სან-სალვადორში 54 კაცი დაიხრჩო. რკინის გზაზე მიმოსვლა შეწყვეტილია, არც ტელეგრაფი მუშაობს.

მადრიდი. მეფემ გამოურკვეველ ვადამდე პარლამენტი დაითხოვა.

ხარტუმი. დარფურში ადგილობრივი მცხოვრებნი თავს დაესხნენ საფრანგეთის რაზმს. საფრანგეთმა ინგლისთან მოლაპარაკება გამართა დამსჯელ რაზმის გაგზავნის თაობაზე.

ლონდონი. ოპოზიციის ბელადმა ლოლუმ ნიუკასტლში სიტყვა წარმოსთქვა ჰომრულის გამო. ქვეყანა სერიოზულ ამბებს მოელის. ყველა ამის გამო მთავრობა პასუხისმგებელია. ოპოზიცია მოხარული იქნება, თუ ყველაფერი მშვიდობით დასრულდება. მთავრობა დანაშაულს ჩაიდენს, თუ ხალხის ხმას ყური არ ათხოვა. ოპოზიცია წინაღუდგება მთავრობის მოქმედებას, თუ ერის თავმოყვარეობა შელახული იქნება. თუ მცხოვრებნი ჰომრულს მიეხრობიან, უნიონისტებიც დაემორჩილებიან.

მიუნხენი. რეგენტობის გაუქმების კანონ-პროექტი მიიღეს 122 ხმის უმრავლესობით 27 წინააღმდეგ.

ვენა. მთავრობამ წარუდგინა პალატას ახალი კანონ-პროექტი სამხედრო თავდაცვის თაობაზე. გადიდებულია რიცხვი ჯარის-კაცთა. ყოველ წლიწადს ხუთი წლის განმავლობაში ჯარის რიცხვი გადიდდება. 1914 წლისთვის მიემატება—7792 კაცი, 1915—4474, 1916 წ. — 4233, 1917 წ.—383, 1918 წ.—480.

რომი. კოკოვცევი წამოდგა ლოგინიდან, თუმცა სუსტად არის.

მუკდენი. იაპონიის წინააღმდეგ დიდი აღელვებაა. სავაჭრო პალატამ იაპონიის საქონლის ბოიკოტი გამოუცხადა. ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუშალოს ბოიკოტს.

ტოკიო. დაატუსაღეს 65 კაცი მცარცველთა ბრბოს წევრი. ბრბოში 3 ათასამდე წევრი უნდა ირიცხებოდეს.

რუსეთი.

პეტერბურგი. სენატმა გააუქმა მოსკოვის პალატის დადგენილება მასწავლებელ ქალის ოკულიჩის თხოვნით. ოკულიჩის ქალი უჩიოდა „მოსკ. ვედომოსტის“ რედაქტორს; გაზეთში კუზნეცოვი სწერდა, ოკულიჩი ბავშვებს ტოლსტოის მოძღვრებას ასწავლისო. პალატამ შეიწყნარა ოკულიჩის საჩივარი და რედაქტორის საქმე მოსპო. ეხლა სენატმა ხელმეორედ გასარჩევად დაუბრუნა პალატას ეს საქმე.

ნანსენმა მოხსენება წაიკითხა ჩრდილოეთის ექსპედიციის თაობაზე და შეაქო სედოვის მოქმედება. სათბობი მასალის სიმცირის გამო მაშველი ექსპედიცია უნდა გაიგზავნოსო.

ფინანსთა მინისტრი განმარტავს, სათათბიროს არჩევნების ხარჯი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯში შეტანილი და ტყუილია ცნობა გაზეთებისა, თითქოს ათი მილიონიანი ფონდიდან გადაედოთ არჩევნების ხარჯად 497.000 მ. სამხედრო მინისტრი სათათბიროსაგან 1914 წლისთვის 77,752,549 მანეთს სამხედრო გემებისა და სამხედრო გემების სადგომშენებლობების მოსაწყობად.

იუსტიციის მინისტრმა სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი გემის მოსამსახურეთა დასჯის თაობაზე, როდესაც მოსამსახურენი დაღუპულ გემს არ მიეშველებიან. ეს კანონ-პროექტი ბრიუსელის კონფერენციის დადგენილების ასასრულებლად არის შემუშავებული; ბრიუსელის დადგენილება „ტიტანიკის“ დაღუპვამ გამოიწვია.

სასამართლოს კომისიამ დაადგინა პირველად სენატის რეფორმის პროექტი განიხილოს.

სამოსამართლო პალატამ მიწადმოქმედების დეპარტამენტის უფროსს ბაქსტოს მექრთამეობისთვის ორი წლის და რვა თვის გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტა.

ხერსონის გუბერნიის სოფელმა—კრივოი როგმა ათი ათასი მანეთი გადაუგზავნა მეფის მემკვიდრეს სამხედრო ჰაერის ფლოტის საჭიროებისთვის.

მუშათა გაფიცვა.

რიგა. გაიფიცნენ რიპარდის, პოლლეს, მერკურის ქარხნის მუშები.

შავი ჭირი.

ნოვოჩერკასკი. ნოვოპეტროვის სლობოდაში ხოლერა გაუჩნდა ერთს. სოფელ ბრესლავლში გარდაიცვალა ქალი. გრომოსლავში სანიტარები მუშაობენ.

ბეილისის საქმე.

კიევი. თიხის თაობაზე კოსოროტოვი ამტკიცებს: თიხა ზედა საცმელზე სისხლით არის გაჟღენთილი, რადგან სისხლი გადმოთხევისას რგვალდება, თიხა მკვლელობის ადგილას უნდა ყოფილიყო უთუოდაო. კოსოროტოვის აზრით ნაჩხვლეტი 13-ია. სისხლის შენახვის თაობაზე კოსოროტოვი არ ეთანხმება პავლოვს და ამბობს; არავითარი განსაკუთრებული ცოდნა არ არის საჭირო ამისთვისო. კოსოროტოვი პავლოვის საპასუხოდ ამბობს, პავლოვს სასამართლოს ექიმების პრაქტიკის თაობაზე წარმოდგენა არც კი აქვსო, მეცნიერებას სასტიკად აქვს აღნიშნული სიკვდილის მომენტი, გულის სრული დადუმების დროო. ხირურგი ვერ გამოარკვევს, ჭრილობა სიცოცხლის დროის არის, თუ სიკვდილისა. ეს გვამის გამჭრელის საქმეაო. სამი ექსპერტი თანახმაა, რომ სიკვდილი გულის ჭრილობამ გამოიწვია. პავლოვის აზრის განსხვავება, პავლოვის მიერ სასამართლოს მედიცინის უცოდინარობისაგან წარმოსდგება. სიკვდილი ხელის წაჭერამ გამოიწვია, რომლის დროს სისხლი ბლომად გამოდიოდაო. მარტო პირზე ხელის დაფარებით, აშკარაა, კაცი არ დაიხრჩობა. სისხლისაგან დაცლა ტუფანოვმა და კოსოროტოვმა საფუძვლიან ფიზიოლოგიურ საბუთების ძალით გამოიკვლიეს. კოსოროტოვი ამბობს; ოთხი ათასამდე გვამზე მიმუშავნია, კარგად მესმის გვამზე სისხლის პოვნის საქმე. კარჟინსკის და ობოლონსკის განსაკუთრებით არ შეეძლოთ ცოდნოდათ, თუ სისხლის ლაქები როგორ მოეძებნათ; ლაქები არც ყოფილა. კოსოროტოვი გაიკვირვებს, რად ლაპარაკობენ მეცნიერების იმ დარგზე, რომლისაც არაფერი გაეგებათო. კოსოროტოვი ამტკიცებს, სისხლი კისრიდან გამოადინესო. თუ საჩხვლეტი იარაღით ცოტა სისხლის შოვნა შეიძლება, უნდა ითქვას, სადგისი უბრალოდ მჩხვლეტავი არ ყოფილა, არამედ სატეხის მაგვარი იყოო. ჭრილობები კისერსა, გულსა, და საფეთქელში. მარცხენა საფეთქელში ერთხელ დაურტყავთ, სისხლს გადმოუხეთქავს, მეტი აღარ დაურტყავთ. მკვლელები ხელმძღვანელობდნენ წინასწარი გეგმით, როგორც ამას ჭრილობები მოწმობენო. შმაკოვს ექსპერტი უპასუხებს, შეუძლებელი იყო გაშეშებული გვამის ტომარაში ჩაგდება. კარაბჩევსკის უპასუხებს: სისხლი, 12 საათში კიდევ შედედებული რჩება, თიხას სისხლი შეკუმშვამდე უნდა შეერთებოდაო. გრუზენბერგს უპასუხებს, მკვლელობის მიზანი ტანჯვა არა ყოფილა, მაგრამ მკვლელობა არც უბრალოა, რადგან შეიძლებოდა სხვა იარაღით სწრაფად მოეკლათ. მაკლაკოვს უპასუხებს, სასიკვდილო ჭრილობას გულში და თავში აძლევენ ხოლმეო. შმაკოვს უპასუხებს, პირველ ჭრილობის მიღებისა და მეორის შუა სისხლი მოგროვდებოდაო, მაგრამ ამის პირდაპირი საბუთი არ არისო. სასამართლო ადასტურებს 23 მარტის ოქმით ჭრილობა 14-ყო, ხოლო 26 მარტს 3 აღმოჩნდა. ტუფანოვი ამბობს: მეორეჯერ შევნიშნეთ შეცდომა, რომელიც გვამის სიგრძის თაობაზე მოგვივიდაო.

გრუზენბერგის შეკითხვაზედ თუ, რა არის ლიბ დოსტაქარი, პავლოვი უხსნის, რომ ეს—უმაღლესი მოწყალებაა, რომელიც ალბად მუქთად არ ეძლევათ. შემდეგ კითხვაზედ, უჭრია თუ არა პავლოვს მკვდრები, უპასუხა, მიჭრიაო. კოსოროტოვის ჩვენებაზედ, რომ სასამართლოს მედიცინის წარმომადგენელთ მეტის უფლებით შეუძლიათ ჭრილობის ხასიათზედ მსჯელობა, აცხადებს, რომ მეცნიერება წინ წავიდა, გულის ბევრი ჭრილობის მორჩენა ეხლა შესაძლოა, მაშინ როდესაც სასამართლო მედიცინა ყველა იმათ აუცილებელ სასიკვდილოდ სთვლის.

კადიანი, როდესაც დამცველებმა ჰკითხეს, სხვათა შორის ამტკიცებს, რომ სისხლს შეეძლო, სანამ სრულიად გახმებოდა, შერეოდა თიხას შედედების მიუხედავად. ებრაელი ყასბები საქონლის დახოცას დროს დანას ხმარობენ. ბრალმდებლის შეკითხვაზედ უპასუხებს, რომ საქონლის დახოცა რუსების გვარად, ჩხვლეტით უფრო უტკივილოა, ებრაელები კი ხოცავენ თავიანთი კანონის მიხედვით. მკვლელებს უნდა შეენიშნათ, რომ იუშჩინსკის პირველ დარტყმაზედვე გრძნობა დაეკარგა. კითხულობენ იუშჩინსკის სიკვდილის შესახებ აზრსა და ტუფანოვისა და ობოლენსკის აღსნათა ოქმს, რომელიც წინასწარ გამოძიებას წარუდგინეს მათ, და საბრალმდებლო ოქმში მოკლედ არის შეტანილი. თავმჯდომარის კითხვაზედ კოსოროტოვი უპასუხებს, რომ ყველა ექსპერტები იმ აზრისანი არიან, რომ გვამი გამოქვაბულში გახევების დროს არის გადატანილი.

კითხულობენ შემდეგ კითხვებს, რომელსაც სასამართლო აძლევს პსიხიატრო-პსიხოლოგიურ ექსპერტიზის: 1) შეიცავს თუ არა იუშჩინსკის გვამის გაჭრის შედეგები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა რამე პირობებს, რომლებიც უჩვენებდნენ მიზანსა და განზრახვას, რომლითაც იუშჩინსკის მკვლელები ხელმძღვანელობდნენ. 2) შეიძლება თუ არა, რომ იუშჩინსკი სულით ავადმყოფს მოეკლას. 3) ხომ არაფერი უჩვენებს მკვლელის პროფესიას. 4) უჩვენებს თუ არა ჭრილობების ხასიათი, მათი რიცხვი და მდგომარეობა მკვლელების გეგმით მოქმედებაზედ. 5) შესაძლოა თუ არა ჭრილობების ხასიათზედ დაეყრდნოთ და ვსთქვათ, თუ რომელ ერს ეკუთვნოდნენ მკვლელები. 6) შესაძლებელია თუ არა, სქესობრივ გახრწნილების ნიადაგზედ მომხდარიყოს იუშჩინსკის მკვლელობა. 7) ემჩნევა თუ არა, რომ მკვლელობა ჩაუდენია გამოცდილ კაცს, აუღელვებლად. 8) შეიძლება თუ არა იუშჩინსკის მკვლელობა მივაწეროთ სარწმუნოებრივ მიზნით გამოწვეულს. მეორე კითხვა შეტანილია დამცველების თხოვნით, [illegible] სამი მეორე მხარის თხოვნით. 3 ს. და 15 წუთზედ ექსპერტები სიკორსკი, ბეხტერევი და კარპინსკი სათათბიროდ გავიდნენ.

ზამისლოვსკის შუამდგომლობით, რომელსაც ბრალმდებელიც მხარს უჭერს, ჟენია ჩებერიაკის სიკვდილის მიზეზის გამოსარკვევად მხარეები კითხვებს აძლევენ კოსოროტოვს, რომელიც აუცილებლად სთვლის რომ იგი მუცელით მოკვდაო. რა მდგომარეობაში შეეყარა ავადმყოფობა ამის თქმას კოსოროტოვი ვერ კისრულობს, საჭირო ცნობების უქონლობის გამო. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მხარეებს შეიმუშაონ კითხვები სარწმუნოებრივ ექსპერტიზისთვის. სხდომა დაიხურა 18 ოქტომბრამდე.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო ბ. ანდრიოლეტის, რომელმაც არმაზის ივერიის წმ. ღვთისმშობლის ეკლესიას მარმარილოს ტრაპეზის გაკეთება აღუთქვა.

აგრეთვე დიდს მადლობას ვსწირავ თავ. დიმიტრი მაყაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და იმავე ეკლესიის გასამშვენებლად შემოსწირა 25 მან., რომლიდანაც 8 მან. უკვე გადმომცა.

მღვდელ-მონაზონი მარიანე.

ბ-ნო რედაქტორო! გაახლებთ რა ს. შილდაში გამართულ სეირნობის ანგარიშს, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდა ადგილობრივ სამკითხველოს შენობას, უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში:

შემოსავალი შესასვლელ ბილეთებისა 32 მ. 70 კ. ბუფეტიდან 35 მან. 13 კ., ვახშმისა 49 მ. 10 კ., სხვა და სხვა გასართობიდან 23 მ. 95 კ., სათამაშო ბილეთებისა 58 მან. 60 კაპ., შემოწირულება ფულად 26 მ. 85 კ., სულ 226 მან. 33 კ.

გასავალი 76 მ. 66 კ. წმინდა შემოსავალი 149 მ. 67 კ., დასასრულ ულრმეს მადლობას ვუძღვნი კნ. ა. გ. ვახვახიშვილისას და თავ. დ. რ. ვახვახიშვილს, რომელთაც ითავეს სეირნობის მოწყობა და მისი გაძღოლა, წ. კ. გ. ს. თელავის განყოფილებას სეირნობის ნებართვის აღებისთვის, ბ. კ. ძიევს, ბ. დ. ძიძამიძეს და ბ. ს. არუთინოვს დიდი შრომისთვის; ნივთიერი დახმარებისთვის თავ. ი. ა. ჯობულიშვილს, მ. ს. კანდელაკს, ბ. კ. ბახუტაშვილს, მ. დ. ცისკარაშვილს და ა. ა. ტერ სარქისოვს; აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელმაც ნივთიერად თუ შრომით ხელი შეუწყო სეირნობას.

გამგეობის მონდობილობით **მ. ალნიაშვილი.**

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

გალოსნოვა
ძმ. აკსარქისოვებისა,
[სადგ. სკრაში, კავკ. რკ. გზა].

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარგარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და საწვრილმანო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელმისაწვდომ ფასად. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Аксаркисову. 733

16 ოქტომბერს, **ნიკოლოზ სიმონის ძემ სარქისიანმა**, ალექსანდროპოლიდან დაბრუნების დროს, მატარებელში **დაჰკარგა პასპორტი** და **უბის წიგნაკი**. მპოვნელმა მოიტანოს ბარონოვის ქ. № 15, სამარიკმახეროში, **ვასო კაიშაურთან**, რისთვისაც საჩუქარს მიიღებს. 732

ა. კიპიტ. ამზადებს **სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებელში**, 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისათვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით **პირობას ვაძლევ გამოცდის სასურველ შედეგების შესახებ**. ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელიზავეტის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე** 16 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმთ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ააბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ყმაწვილი, რომელსაც გათავებული აქვს 5 კლასი და საბუღალტრო კურსები, **ეძებს ადგილს სავაჭრო დაწესებულებაში.** ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპ., შალვა თაბაგარი. 730

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
გრამო-ფონებს
„იაკორ“-ს
ქვიდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
გ. ს.
დავიდოვისა.
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდით
შეიძლება.
გოლოვინის პროსპ., № 6, საკრებულოს ქვეშ.
1531

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ჭავჭავაძე ი. აი ისტორია!	35 კ.
ჭყონია. ისტორიული ნარკვევი	1-50 „
ჭიჭინაძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა	15 „
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში	50 „
— „ „ ბათომში	10 „
— კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში	10 „
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება	10 „
— სოლომონ ლეონიძე	10 „
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ ჯავახეთის ცნობა	25 „
— ქართვ. კათოლიკეთა ვაჭრობა.	30 „
— ქართვ. კათოლ. ყველა ასპარეზზე	25 „
— ქართული სტამბა	10 „
— საქართველოს ცხოვრება	1 მ.—
— მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში	60 „
— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი	50 „

ახალი წიგნები:

ერის სულის მეფე, ლეგენდა, რუხაძე.	5 „
ბაირონიზმ და მსოფლიო მწუხარება	25 „
ყოველის მხრიდან, ლომაურისა	10 „
გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა	30 „
საქართველოს გმირი გიორგი სააკაძე	80 „
Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію	40 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

მიიღეთ საყინულე-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ამურის წითელი ხიზილალა |კეტოვი|, სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 1500

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.